## eJudge სისტემის გამოყენების ინსტრუქცია

სისტემაში უნდა შეხვიდეთ იმ მომხმარებლის სახელით და პაროლით რომლითაც გაიარეთ რეგისტრაცია.

სისტემაში შესვლის შემდეგ დაინახავთ შემდეგი შინაარსის გვერდს:




როდესაც ამოცანას ამოხსნით და დაწერთ შესაბამის პროგრამას, თქვენ უნდა გადახვიდეთ ამოცანის გვერდზე შესაბამის ლათინურ ასოზე დაჭერით (სურათზე A, B, C). ამოცანის არჩევის შემდეგ დაინახავთ შემდეგ გვერდს:



აქ უნდა აირჩიოთ პროგრამირების ენა (პასკალი ან C++), აირჩიოთ საწყისი კოდების ფაილი და გაუშვათ პროგრამა შემოწმებაზე „Send!“ ღილაკის მეშვეობით.

ამის შემდეგ სისტემა გამოაჩენს თქვენი გაგზავნილი პროგრამის მიმდინარე სტატუსს:




შემოწმების შედეგი ჩანს „Result“ სვეტში. აქ პროგრამის სისწორიდან გამომდინარე შეიძლება დაგხვდეთ შემდეგი მნიშვნელობები:

**OK** – პროგრამამ გაიარა ყველა ტესტი და აიღო სრული ქულა. შეგიძლიათ გადახვიდეთ სხვა ამოცანის ამოხსნაზე.
**Partial solution -** პროგრამამ ვერ გაიარა ყველა ტესტი. აღებული ქულა ნაჩვენები იქნება შედეგის გვერდზე.
**Compilation error** - თქვენი კოდი არ დაკომპილირდა. ამ დროს "View report" სვეტში „View“-ზე დაჭერით თქვენ შეგიძლიათ ნახოთ კომპილაციის შეცდომის დეტალური აღწერა.
**Check failed** – ეს ნიშნავს, რომ ამოხსნის შემოწმება ვერ მოხერხდა. ამ შემთხვევაში უნდა დაელოდოთ ორგანიზატორების რეაქციას, შეგიძლიათ დროებით სხვა ამოცანებზე გადაერთოთ სანამ პრობლემა გასწორდება. პრობლემის მოგვარების შესახებ შეგატყობინებთ დამკვირვებელი.

თუ შედეგის სვეტში ჩანს **Compiling** ან **Running**, ეს ნიშნავს რომ პროგრამა ჯერ შემოწმების პროცესშია. დაელოდეთ 5-10 წამი და განაახლეთ ვებ გვერდი.

თქვენი ყველა გზავნილის სტატუსის ნახვა ასევე შეიძლება ნებისმიერ დროს “Submissions” ბმულზე.

თითოეულ ამოცანაში დაგეწერებათ თქვენი გაგზავნილ ამოხსნების ქულებს შორის მაქსიმალური.
ტურის დასრულების შემდეგ თქვენი შედეგი განისაზღვრება ყველა ამოცანაში მიღებული ქულის ჯამით.

პირობასთან დაკავშირებული შეკითხვის გამოგზავნა ონლაინ ტურზე შესაძლებელია Submit clar ღილაკზე დაჭერით. კითხვა უნდა იყოს ისეთნაერად დასმული რომ პასუხი გაიცემოდეს კი ან არა. რაღაც დროის შემდეგ მიიღებთ ერთ-ერთ პასუხს Clars ჩანართში - Yes, No ან No comments.